

თამაზ სახეიშვილი

სამეტყველო კოდების შერევისათვის ეპიტაფიების ენაში (ხობის მასალების მიხედვით)

ეპიტაფიები საინტერესოა არა მარტო იდეურ-მხატვრული, არამედ ლინგვისტური თვალსაზრისითაც. საანალიზო მასალა მოიცავს ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების მონასტერსა და რამდენიმე სოფელში (ზემო ქვალონი, გურიფული, ნოჯიხევი, კუთხე ნოჯიხევი, ჯიხუ) საფლავის ქვებზე არსებულ წარწერებს, რომელიც XIX-XX სს-ებით არის დათარიღებული. აღნიშნული ეპიტაფიები არის პროზად და არის ლექსად. პროზაული ტექსტების უმეტესობა ძველ ქართულ ენაზეა. მოვიყვანთ ერთ ნიმუშს:

„მოაწია სიკვდილი საშინელი ვითარცა მტაცებელი და არა არსად გამომაჩინა და რომელი ესე ვყავ აწ ვითარე არა ოდეს ყოფილი მდებარე ვარ ლოდსა ამასა ქვეშე მე ყულევის ვაჭარი უჩარდია ალანოვი“ (1860 წელი, საფლავი მდებარეობს სოფელ ზემო ქვალონის ტაძრის ნანგრევების შიგნით).

ახალი ნორმების ფაქტები თითქმის არ გვხვდება, არის მხოლოდ ერთი შემთხვევა: ტექსტი განეკუთვნება 1917 წელს, მასში წარმოდგენილია როგორც ახალი, ისე ძველი ქართული ენის ნორმები; ტექსტი ასეთია:

„1917 წლის 31 მარტს გარდაიცვალა მეუღლე გახუ ფაჩულიასი აზო ეკატერინე ნიკოს ასული სალაყაია, 24 წლის. ამა ლოდსა შინა წამკითხველებს შეეწიოს შენდობა“.

სამეტყველო კოდების შერევის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა XX საუკუნეში შექმნილი პოეტური ეპიტაფიები. პოეტური ტექსტების უმრავლესობა ქართული სალიტერატურო ენითაა შესრულებული. მეგრულის მხოლოდ ერთი ნიმუში შეგვხვდა. ტექსტს აქვე წარმოვადგენთ:

„მუჟანს ვორდი, მათი ვორდი,
მარა ამდლა მუთუნ ვარე.
მუჟამითი ჯანვობიჯგე
მა ცხოვრებას კუჩხი გალე“.

ქართული თარგმანი:

„რაჟამს ვიყავ, მეც ვიყავი,
მაგრამ დღეს არაფერია,
იმ დროიდან, რაც გადმოვდგი
ცხოვრებიდან ფეხი გარეთ“.

ჩვენს მიერ მოძიებული მასალის ანალიზის შედეგად გამოვლინდა საყურადღებო ფაქტები ენობრივი თვალსაზრისით. კერძოდ, გვხვდება არქაული სიტყვები და

გამოთქმები, ბარბარიზმები, დიალექტიზმები, მეგრულიდან კალკირების დამადასტურებელი ფრაზები. განვიხილოთ ცალკეული შემთხვევები:

1) ტექსტებში დასტურდება მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად *მან* ფორმანტი:

„ნეტარებისთვის შობილ მან
რომ ტანჯვა იმკე ესდენი“.

ლექსში¹ დაფიქსირებული სიტყვა „ესდენი“ ძველი ქართულის კუთვნილებას წარმოადგენს.

2) არა ერთი შემთხვევაა ნართანიანი მრავლობითის ფორმათა გამოყენებისა, მაგალითად:

ა) „არ მოაკლდები მეგობართ რიგებს“...

ბ) „ჩვენ ოცდარვანი ვიყავით
გულით ნაფიცი და-ძმანი“...

3) ზოგიერთ ეპიტაფიას არქაულობის ელფერს ანიჭებს ძველად ხმარებული თანდებულები. მოვიყვანოთ რამდენიმე ნიმუშს:

ზედა:

„არ მშორდება თვალებ ზედა“

ებრ:

„ჩემებრ იოლად გზას აცდენილებს ნუ მიენდობით“...

4) საინტერესოა ზმნისართი „როდესმე“, რომელიც, ჩვენი აზრით, *ოდესმე* და *როდისმე* სიტყვათა კონტამინაციის შედეგად უნდა იყოს მიღებული.

„დე, დაბნელდეს ჩვენთვისაც მზე,
თუ როდესმე დაგივიწყოთ“.

5) მოქმედებითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი ზმნისართი *არსაით* ასრულებს გამოსვლითობის ფუნქციას:

„ნუგეშს და იმედს *არსაით* ველი“.

6) ბარბარიზმის ნიმუშია შემდეგი ფრაზა:

„სვარკის დენით ჩავიმიწე“.

7) კალკის ნიმუშებში ნათლად ჩანს მეგრულიათვის სპეციფიკური გრამატიკული თავისებურებები: კერძოდ, მსაზღვრელ-საზღვრულის ნათესაობით ბრუნვაში შეთანხმება მეგრულის მსგავსადაა. მსაზღვრელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი:

„პირველ კურსის სტუდენტი ვარ,
უდიპლომოდ დამარხული“.

შევადართ მეგრული თარგმანი:

„პირველ კურსში სტუდენტ ვორექ,
უდიპლომოდ თხორილია“.

8) თანხმევანზე დაბოლოებული ადამიანის საკუთარი სახელები წოდებით ბრუნვაში „ი“ დაბოლოებით დასტურდება, რაც მეგრულის და ქართული ენის ზოგიერთი დიალექტისთვისაა დამახასიათებელი.

ა) „ჩვენო ნუგზარი, ძვირფასო, კარგო,
ჩვენ არასოდეს დაგვიბრუნდები“.

ბ) „ხომ გესმის, ძმაო მერაბი,
ბესოს რაისთვის მიყავდი“.

კალკის ნიმუშებს წარმოადგენს, აგრეთვე, შემდეგი ფრაზები: „მოვიკალი ჩემი თავი“, რომელიც მეგრული გამოთქმის - „დიპილ ჩქიმ ღუღის“ პირდაპირი თარგმანია.

შემდეგი მაგალითი: „შორელ ციმბირის იქით... უმოწყალოდ დაჩეხილო“.

სალიტერატურო ენის მიხედვით სწორი ფორმაა „შორელ ციმბირს იქით“. მეგრულში „იქით“ ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის, ქართულში კი - მიცემითს.

ეპიტაფიებში გამოვლინდა ქართული დიალექტური ფორმებიც, მაგალითად,

„ოხ, რა მალე დაიკარგა

ჩემი კარგი ბავშობა“.

სწორი ფორმაა „ბავშვობა“.

დაკარგულია ფუძისეული ვ ბგერა:

„მეც გადაუხდი სამაგიეროს“ - ზმნაში დაკარგულია პირველი სუბიექტური პირის 3 ნიშანი.

„მკვდარი მაშინ ხარ, როცა შენ საფლავს ხავსი მოეკიდება“

„შენ საფლავს“ - მსაზღვრელს აკლია მიცემითი ბრუნვის ს ნიშანი.

„სადაც თქვენი მანონი არი“. ზმნასთან გაუჩინარებულია მესამე სუბიექტური პირის ს სუფიქსი.

ქართულ ტექსტში იშვიათად ჩართულია მეგრული სიტყვებიც:

ა) „შენი შვილი ამბობს: დიდა-ნანა, (დიდა-დედა, სინონიმა ნანა).

ბ) „თავს ვერ ვართმევთ ჭიმა დარდებს, (ჭიმა ნიშნავს ძმას).

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ ხობის რაიონში მოძიებულ ეპიტაფიათა ერთი ნაწილი, დავაფიქსირეთ სამეტყველო კოდების შერევის ფაქტები. აღნიშნული ხასიათის წარწერებზე შემდგომი მუშაობა მრავალ საინტერესო და საგულისხმო მხარეს წარმოაჩენს.

TAMAZ SAKHEISHVILI

ON THE SPEECH CODE-MIXING IN THE LANGUAGE OF EPITAPHS

(based on the Khobi materials)

Epitaphs of 19th-20th of Khobi district collected by the author are of certain linguistic interests.

Epitaphs represented in the verse is written chiefly, Modern Georgian. The archaic colouring of the verse is achieved by the use of ergative with man and also by some postpositions and nar-/tan plurals the usage of which could not be regarded as sporadic.

Texts in the prose form is very rare and whenever in occurs it is mainly done in old Georgian. In the texts of modern in Georgian there is also occasional use of some Megrelian words.